

## დანართი F პროექტის გარემოსდაცვითი სტანდარტები



## სარჩევი

1	შესავალი .....	F-1
1.1	წყარო დოკუმენტები.....	F-1
1.2	აბრევიატურები და განსაზღვრებები .....	F-2
2	პროექტის გარემო ჰაერის ხარისხის სტანდარტები.....	F-3
3	პროექტის გარემო ხმაურის სტანდარტები .....	F-5
4	პროექტის ვიბრაციის სტანდარტები .....	F-6
5	ჩამდინარე წყლის ჩაშვება.....	F-7
5.1	სანიტარული წყლების ჩაღვრის პროექტით დადგენილი სტანდარტები.....	F-7
5.2	პროექტის საწარმოო წყლის ჩაშვების სტანდარტები.....	F-7
5.3	მიწაში ჩაშვება.....	F-8
5.4	პროექტის ზედაპირული წყლის ხარისხის სტანდარტები .....	F-9
6	პროექტის გაწმენდის სამუშაოების კრიტერიუმები.....	F-11



# 1 შესავალი

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის (WREP) სექციური ცვლილებების პროექტის რაოდენობრივი გარემოსდაცვითი სტანდარტების დადგენა.

ზემოთხსენებული სტანდარტების გამოიყენება მთელი WREP-SR პროექტის მანძილზე, რომელიც მოიცავს მხოლოდ სამშენებლო და ექსპლუატაციაში გაშვების საქმიანობას. როდესაც პროექტი დასრულდება, ახალი მონაკვეთები გახდება დასავლეთის მიმართულების არსებული საექსპორტო მილსადენის ნაწილი, რაც მოიცავს დასავლეთის მიმართულების არსებული საექსპორტო მილსადენის ბუნებრივი გარემოს მართვის სისტემასა და მის გარემოსდაცვით სტანდარტებს.

ეს სტანდარტები ეფუძნება WREP მილსადენის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ხელშეკრულებას, რომლის მოთხოვნაცაა, WREP-SR პროექტი განხორციელდეს შემდეგი პირობების შესაბამისად:

1. ნავთობწარმოების მოწინავე საერთაშორისო სტანდარტები და პრაქტიკები
2. მილსადენის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ხელშეკრულებით განსაზღვრული გარემოსდაცვითი და ტექნიკური სტანდარტები
3. ამ ხელშეკრულების სხვა დებულებების შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობის დაცვით, რაც მოიცავს ყველა ნორმატიულ აქტს
4. იმგვარად, როგორც წინდახედული ოპერატორი წარმართავს საკუთარ საქმიანობას.

## 1.1 წყარო დოკუმენტები

დოკუმენტის სახელწოდება
მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ჰაერის ხარისხის სახელმძღვანელო მითითებები, გლობალური განახლება 2005
მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ჰაერის ხარისხის სახელმძღვანელო მითითებები ევროპისათვის, მეორე გამოცემა, 2000
გაერთიანებული სამეფოს ჰაერის ხარისხის სტანდარტების წესები, 2007
ევროკავშირის ჰაერის ხარისხის სტანდარტების დირექტივა, 2008/50/EC
საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის გარემოს დაცვის, ჯანდაცვისა და სოციალური საკითხების სახელმძღვანელო მითითებები, 2008
მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ადგილობრივი მოსახლეობის ხმაურის სახელმძღვანელო მითითებები (1999)
BS-5228-1; 2009: ხმაურისა და ვიბრაციის კონტროლის პრაქტიკების კოდექსი სამშენებლო და ღია ადგილებისათვის – ნაწილი 1: ხმაური
BS-5228-1; 2009: ხმაურისა და ვიბრაციის კონტროლის პრაქტიკების კოდექსი სამშენებლო და ღია ადგილებისათვის – ნაწილი 2: ვიბრაცია
ბრიტანული სტანდარტი 7385: ნაწილი 2: 1993 “შენობებში ვიბრაციის გაზომვის შეფასება ნაწილი 2. ზედაპირიდან წარმოქმნილი ვიბრაციის ზიანის დონეების სახელმძღვანელო”
ევროკავშირის ქალაქის ჩამდინარე წყლების დამუშავების დირექტივა (91/271/EEC)
გაერთიანებული სამეფოს ქალაქის ჩამდინარე წყლების დამუშავების წესები (1995)
საერთაშორისო ფინანსური კორპორაციის გარემოს დაცვის, ჯანდაცვისა და საოციალური სექტორი სახელმძღვანელო მითითებები: ნავთობისა და გაზის

დოკუმენტის სახელწოდება
განვითარება ხმელეთზე, 2007
ევროკავშირის მტკნარი წყლის თევზის დირექტივა (2006/44/EC)
დაბინძურებული მიწის მართვის სანიმუშო პროცედურები (CR11) (DEFRA და გარემოსდაცვითი სააგენტო, 2004)
გამასწორების სამიზნეების მეთოდოლოგია: მიწის დაბინძურების ჰიდროგეოლოგიური რისკის შეფასება (გარემოსდაცვითი სააგენტო, 2006)

## 1.2 აბრევიატურები და განსაზღვრებები

აბრევიატურა/პირობითი აღნიშვნა	აღწერა
BOD	ბიოქიმიური ჟანგბადის მოთხოვნილება
CO	ნახშირჟანგი
COD	ქიმიური ჟანგბადის მოთხოვნილება
EU	ევროკავშირი
Fe	რკინა
IFC	საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია
NO <sub>2</sub>	აზოტის ორჟანგი
PM	მყარი ნაწილაკები
SO <sub>2</sub>	გოგირდის ორჟანგი
WHO	მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია
Zn	თუთია

## 2 პროექტის გარემო ჰაერის ხარისხის სტანდარტები

ცხრილი 1: პროექტის ჰაერის ხარისხის სტანდარტები

პარამეტრი	პროექტის სტანდარტი	მითითება
NO <sub>2</sub>	40 მკგ/მ <sup>3</sup> წლიური საშუალო (ადამიანის ჯანმრთელობა)	1;3;4
	30 მკგ/მ <sup>3</sup> წლიური საშუალო (ეკოსისტემები)*	3
	200 მკგ/მ <sup>3</sup> საათობრივი საშუალო	1;4
ბენზოლი	5 მკგ/მ <sup>3</sup> წლიური საშუალო	3
CO	100,000 მკგ/მ <sup>3</sup> 15 წთ-ში	2
	60,000 მკგ/მ <sup>3</sup> 30 წთ-ში	2
	30,000 მკგ/მ <sup>3</sup> 1 სთ-ში	2
	10,000 მკგ/მ <sup>3</sup> მაქსიმალური დღიური 8 სთ საშუალო	2;3
SO <sub>2</sub>	266 მკგ/მ <sup>3</sup> 15 წთ საშუალო	3
	(არ უნდა იქნას გადაჭარბებული 35 ჯერზე მეტად კალენდარული წლის მანძილზე)	3
	350 მკგ/მ <sup>3</sup> საათობრივი საშუალო	1;4
	(არ უნდა იქნას გადაჭარბებული 24 ჯერზე მეტად კალენდარული წლის მანძილზე)	3
	20 მკგ/მ <sup>3</sup> 24 სთ საშუალო	3
20 მკგ/მ <sup>3</sup> დღიური საშუალო ეკოსისტემების დასაცავად*		
10 მკგ/მ <sup>3</sup> წლიური საშუალო		
(სენსიტიური ეკოსისტემების დასაცავად)*		
PM <sub>10</sub>	20 მკგ/მ <sup>3</sup> წლიური საშუალო	1;4
	50 მკგ/მ <sup>3</sup> 24 სთ საშუალო (არ უნდა იქნას გადაჭარბებული 3 დღეზე მეტად წლის მანძილზე, 99 პროცენტილი)	1;4
PM <sub>2.5</sub>	10 მკგ/მ <sup>3</sup> წლიური საშუალო	1;4
	25 მკგ/მ <sup>3</sup> 24 სთ საშუალო	1;4
	საპროექტო ემისიები არ უნდა წარმოადგენდეს შესაბამისი ჰაერის ხარისხის სტანდარტის 25 %-ზე მეტ წილს	4
<p>შენიშვნა:</p> <p>*ჰაერის ხარისხის სამიზნეები ეკოსისტემებისათვის გამოიყენება მხოლოდ იმ ტერიტორიაზე, რომელიც: მდებარეობს 20 კმ-ზე მეტი დაშორებით აგლომერაციიდან (ე.ი. ტერიტორია, სადაც პოპულაცია 250 000-ზე მეტია); 5 კმ-ზე მეტი დაშორებით ძირითადი საწარმოო წყაროებიდან (საავტომობილო გზები და განაშენიანებული ტერიტორია 5000-ზე მეტი მოსახლეობით)</p> <p>სახელმძღვანელო წყაროები</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1) მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ჰაერის ხარისხის სახელმძღვანელო მითითებები, გლობალური განახლება 2005</li> <li>2) მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ჰაერის ხარისხის სახელმძღვანელო მითითებები ევროპისათვის, მეორე გამოცემა, 2000</li> <li>3) გაერთიანებული სამეფოს ჰაერის ხარისხის სტანდარტების წესები, 2007 (დირექტივის (2008/50/EC აღსასრულებლად)</li> <li>4) საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის გარემოს დაცვის, ჯანდაცვისა და სოციალური საკითხების სახელმძღვანელო მითითებები, 2008</li> </ol>		

პარამეტრი	პროექტის სტანდარტი	მითითება
	<p>შენიშვნა: სადაც იდენტიფიცირებულია რომ გარემო ჰაერის ხარისხის დონეები აჭარბებს ზემოთ მოცემულ სტანდარტებს პროექტის დაწყებამდე (შეიძლება გამოწვეული იყოს არასაპროექტო ემისიების წყაროებით), მაშინ პროექტმა შეიძლება ვერ დააკმაყოფილოს ეს სტანდარტები იმ გარემოებების გამო, რომლებიც აღემატება პროექტის კონტროლის შესაძლებლობებს. ამ შემთხვევაში პროექტი გაითვალისწინებს ჰაერის ხარისხის გარემო დონეებს და არასაპროექტო ფაქტორებს, რომლებიც ზემოქმედებას ახდენს ჰაერის ხარისხზე, და გაატარებს გონივრულად განხორციელებად ზომებს პროექტის წვლილის შესამცირებლად ჰაერის ემიესიებში</p>	

ჰაერის ხარისხის სტანდარტები მიღწეული უნდა იქნას მიმდებარე გარემოში იმ დონემდე, რაც ასახავს მოსახლეობის ზემოქმედების ქვეშ მოქცევას. ეს მოიცავს საცხოვრებელ შენობებს, სკოლებს და საავადმყოფოებს.

### 3 პროექტის გარემო ხმაურის სტანდარტები

მშენებლობის დროს ხმაურის ემისიების შეფასება უნდა განხორციელდეს BS-5228-1 (2009) E3.3 სამაგალითო მეთოდის 2: 5დბ(A) ცვლილების მიხედვით. ამ მეთოდის მიხედვით, სამშენებლო საქმიანობის შემთხვევაში გამოყენებული იქნება ქვემოთ მოცემული სტანდარტები:

ერთ თვიანი ან მეტი ხანგრძლივობის მშენებლობით გამოწვეული ხმაურის დონეები არ უნდა აღემატებოდეს წინასამშენებლო გარემო ხმაურს 5დბ-თი ან მეტით, რაც წარმოადგენს უფრო დაბალი მაჩვენებლების საგანს 65დბ, 55დბ და 45დბ LAeq პერიოდში მხოლოდ სამშენებლო ხმაურისათვის დღის, საღამოსა და ღამის დროებისათვის.

ხანმოკლე ხმაურიანი საქმიანობის დროს სამშენებლო მონაკვეთებზე, რომლის ხანგრძლივობაც არის ერთ თვეზე ნაკლები, მაგ. აზოტის სავენტილაციო საშუალებები, ზემოთ მოყვანილი სტანდარტები დაცული იქნება, სადაც ეს პრაქტიკულია, მიუხედავად ამისა, თუკი მოსალოდნელია, რომ ხმაურის დონეებმა გადააჭარბოს ამ დონეებს, განხორციელდება რისკების შეფასება პროგნოზირებული ხმაურის დონეების გასაგებად, იმ ხანგრძლივობის დასადგენად, რომლის დროსაც ეს დონეები გადაჭარბებული იქნება და შემარბილებელი ღონისძიებების შესამუშავებლად, რომლებიც გამოყენებული იქნება ხმაურის, რამდენადაც ეს განხორციელდება, დაბალი დონეების შესანარჩუნებლად.

## 4 პროექტის ვიზრაციის სტანდარტები

ვიზრაციას აქვს პოტენციალი, გამოიწვიოს ადამიანის შეწუხება და შენობების დაზიანება, პროექტი გამოიყენებს ბრიტანულ სტანდარტს 5228-2009 ნაწილი 2 ვიზრაციის კონტროლისათვის და ეცდება, აკონტროლოს ვიზრაცია ისე, რომ იგი შენარჩუნდეს იმ დონეზე, რაც ასატანია ადამიანისათვის და ნაკლებ სავარაუდოა, რომ გამოიწვიოს შენობების დაზიანება, ქვემოთ მოცემული მაჩვენებლების მიხედვით:

**ცხრილი 2: პროექტის ვიზრაციის სტანდარტები**

სტანდარტი	რეცეპტორი	ვიზრაციის ლიმიტები mms-1 (ppv)
ბრიტანული სტანდარტი 5228, 2009 ხმაურისა და ვიზრაციის კონტროლის პრაქტიკების კოდექსი სამშენებლო და ღია ადგილებისათვის – ნაწილი 2: ვიზრაცია	ადამიანები შენობებში	1.0 mms <sup>-1</sup> მოსალოდნელია, რომ ვიზრაციის ამ დონემ დასახლებულ გარემოში გამოიწვიოს საჩივრები, თუმცა შეიძლება მოთმენილი იქნას, თუკი მაცხოვრებლები წინასწარ იქნებიან გაფრთხილებულნი და მიეცემათ შესაბამისი ახსნა-განმარტება. 10 mms <sup>-1</sup> ვიზრაციის ეს დონე სავარაუდოდ აუტანელი იქნება, გარდა ძალზე ხანმოკლე პერიოდებისა
ბრიტანული სტანდარტი 5228, 2009 ხმაურისა და ვიზრაციის კონტროლის პრაქტიკების კოდექსი სამშენებლო და ღია ადგილებისათვის – ნაწილი 2: ვიზრაცია	გაუმადრებელი ან მსუბუქი კონსტრუქციები  საცხოვრებელი ან მსუბუქი კომერციული ტიპის შენობები	ლიმიტები, რომლის გადაჭარბების შემთხვევაშიც შეიძლება კოსმეტიკურად დაზიანდეს შენობები 15mms <sup>-1</sup> 4ჰც-მდე ზრდადი 20mms <sup>-1</sup> 15ჰც-მდე ზრდადი 50mms <sup>-1</sup> 40ჰც-მდე და მეტი
იხილეთ მითითებული ბრიტანული სტანდარტები დეტალური ინფორმაციისათვის		
შენიშვნა: სადაც ფონური ვიზრაციის არსებული დონეები აჭარბებს ზემოთ მოცემულ სტანდარტებს პროექტის დაწყებამდე (შეიძლება გამოწვეული იყოს არასაპროექტო წყაროებით), მაშინ პროექტმა შეიძლება ვერ დააკმაყოფილოს ეს სტანდარტები პროექტის კონტროლის დაუქვემდებარებელი ფაქტორების გამო. ამ შემთხვევაში პროექტი გაითვალისწინებს ვიზრაციის არსებულ დონეებს და ვიზრაციაზე ზემოქმედების მქონე არასაპროექტო ფაქტორებს და გაატარებს გონივრულად განსახორციელებელ ზომებს პროექტის წილის შესამცირებლად ვიზრაციაში.		



## 5 ჩამდინარე წყლის ჩაშვება

### 5.1 სანიტარული წყლების ჩაღვრის პროექტით დადგენილი სტანდარტები

ეს სტანდარტები გამოიყენება ზედაპირული წყლის ობიექტებში დამუშავებული სანიტარული ჩაშვების წერტილებში.

**ცხრილი 3: პროექტის სანიტარული ჩამდინარე წყლების ჩაშვების სტანდარტები**

პარამეტრი	პროექტის სტანდარტი
pH	6-9
BOD (5) (მგ/ლ)	25
COD (მგ/ლ)	125
სულ აზოტი (მგ/ლ)	15*
სულ ფოსფორი (მგ/ლ)	2*
ნავთობი და ცხიმი (მგ/ლ)	10
სულ შეწონილი ნაწილაკები (TSS) (მგ/ლ)	35
კოლის ბაქტერია (სავარაუდო ოდენობა)/100 მლ	400
ტემპერატურა	არ უნდა აღინიშნოს გარემო ტემპერატურის 3°C-ზე მეტი მომატება მეცნიერულად დადგენილი შერევის ზონის კიდეზე
* ფოსფორის და აზოტის სტანდარტები გამოყენებული იქნება რისკის შეფასებაზე დაყრდნობით, რათა განისაზღვროს არის თუ არა მიმღები გარემო მოწყვლადი ეუტროფიკაციის მიმართ და შეიძლება თუ არა კრიტიკული დონეების გადაჭარბება	
წყარო: საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის გარემოს დაცვის, ჯანდაცვისა და სოციალური საკითხების სახელმძღვანელი მითითებები 2007: გარემოსდაცვითი ნაწილი 1.3; წყარო: ევროკავშირის ქალაქის ჩამდინარე წყლების დამუშავების დირექტივა (1991) და გაერთიანებული სამეფოს ქალაქის ჩამდინარე წყლების გადამუშავების წესები (1995)	

### 5.2 პროექტის საწარმოო წყლის ჩაშვების სტანდარტები

საწარმოო ჩამდინარე წყლები მოიცავს ყველა პროცესის, საწარმოო (მათ შორის სატრანსპორტო საშუალებების გარეცხვა და ტექნომსახურება, ნარჩენების შემკვრები სადგურები და სხვა წყაროები, რომლებიც ჩვეულებრივ არ არის სუფთა)

ჰიდროტესტირების, თხრილის და წვიმის წყალს. ეს სტანდარტები ეხება საწარმოო ჩამდინარე წყლების ზედპირულ წყლებში ჩაშვების წერტილს.

**ცხრილი 4: საწარმოო წყლის ჩაშვების პროექტის სტანდარტები**

პარამეტრი	პროექტის სტანდარტი
pH	6-9
BOD (5) (მგ/ლ)	25
COD (მგ/ლ)	125
ნახშირწყალბადის მთლიანი შემცველობა (მგ/ლ)	10
ფენოლები (მგ/ლ)	0.5
სულ შეწონილი ნაწილაკები (მგ/ლ)	35
სულფიდები (მგ/ლ)	1
ქლორიდები (მგ/ლ)	600 მგ/ლ (საშუალო), 1200 მგ/ლ (მაქსიმალური))
ტემპერატურა	ფარგლები მაქსიმალურად დაბალი უნდა იყოს და ასახავდეს მიმღები წყლის ხარისხს.  მიმღები წყლის ტემპერატურის ცვლილება დაიშვება არაუმეტეს 1°C-ით მეცნიერულად დაფუძნებული შემრევი ზონის კიდეზე, ჩაღვრის მაქსიმალური ტემპერატურის ზედა ზღვარია 40°C
მძიმე ლითონები (სულ) (მგ/ლ) მათ შორის: დარიშხანი, კადმიური, ქრომი, სპილენძი, ტყვია, ვერცხლისწყალი, ნიკელი, ვერცხლი, ვანადიუმი და თუთია	5
წყარო: საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის გარემოს დაცვის, ჯანდაცვისა და სოციალური საკითხების ზოგადი სახელმძღვანელო მითითებები, ჩამდინარე წყლისა და გარემო წყლის ხარისხი, 2007; საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის გარემოს დაცვის, ჯანდაცვისა და სოციალური სექტორი სახელმძღვანელო მითითებები: ნავთობისა და გაზის განვითარება ხმელეთზე, ჩამდინარე წყლებისა და გარემო წყლის ხარისხი, 2007	

**5.3 მიწაში ჩაშვება**

მშთანთქავი ჭები გამოყენებული იქნება მხოლოდ დამუშავებული სანიტარული, წვიმის ან პოტენციური ჰიდროტესტირების წყლის ჩასაშვებად. ყველა ვითარებაში შეფასდება პოტენციური ზემოქმედება ნიადაგზე, მიწისქვეშა და ზედაპირულ წყლებზე იმ უბნებზე, სადაც მოხდება ჩამდინარე წყლის ჩაშვება მიწაში. მშთანთქავი ჭებისთვის გამოიყენება ქვემოთ მოცემული სტანდარტები (იხ. ცხრილი 3 და ცხრილი 4) იმ ადგილებში, სადაც ჩამდინარე წყალი აღწევს წყალს. იმის დასადასტურებლად, რომ ჩაშვებამ წყალზე

მოახდინა მხოლოდ უმნიშვნელო ზემოქმედება საჭიროა ორსაფეხურიანი გამოკვლევის ჩატარება:

- თავდაპირველად შესწავლილი იქნება მიწის უნარი, ფიზიკურად გაუძლოს წყლის ნაკადს. გათხრილი იქნება საცდელი ორმოები და განხორციელდება გაჟონვის ტესტირება ზედაპირის შრეებზე, რათა დადგინდეს მათი მახასიათებლები (ფოროვანი თუ ნაპრალოვანი) ნაკადების მოცულობის დასადგენად
- მეორე ეტაპზე განხორციელდება რისკების შეფასება მიწისქვეშა წყლების უახლოეს წყაროზე პოტენციური ზემოქმედების დასადგენად. გამოყენებული იქნება ანალიტიკური გადაწყვეტების მიდგომა, რომელიც გაერთიანებული სამეფოს გარემოსდაცვითი სააგენტოს მიერ რეკომენდირებული მიდგომის მსგავსია (მე-6 თავის - პროექტის გაწმენდის სამუშაოების სტანდარტები შესაბამისად).

## 5.4 პროექტის ზედაპირული წყლის ხარისხის სტანდარტები

ზედაპირული წყლის ხარისხის სტანდარტები გამოყენებული იქნება იმ ზედაპირული წყლის მიმართ, სადაც რუტინულად ხორციელდება მაგ.: დამუშავებული საკანალიზაციო წყლის, ჩამდინარე წყლის მართვადი ჩაშვება (წვიმის წყლის სადრენაჟე სისტემიდან), ასევე ჰიდროტესტის წყლის ჩაშვება (იხილეთ დანართი D მონიტორინგის პროგრამისათვის).

**ცხრილი 5: პროექტის ზედაპირული წყლის ხარისხის სტანდარტები**

პარამეტრი	ერთეული	EQS ორაგულის შემცველი წყალი	EQS კობრის შემცველი წყალი
pH		6-9	6-9
BOD (5)	მგ/ლ	≤ 3	≤ 6
ნახშირწყალბადის საერთო შემცველობა		წყალში არ უნდა იყოს ნავთობპროდუქტები იმ რაოდენობით, რომ გამოიწვიოს: - ხილვადი აპკის წარმოქმნა წყლის ზედაპირზე ან ფენების შექმნა წყალსატევების კალაპოტებსა და ტბებზე - თევზს გადაეცეს შესამჩნევი ნახშირწყალბადის გემო - მავნე ზემოქმედება თევზზე	
ფენოლები		არ უნდა იყოს იმ კონცენტრაციით, რომ უარყოფითი ზემოქმედება მოახდინოს თევზის გარემოზე	
სულ შეწონილი ნაწილაკები (TSS)*:	მგ/ლ	≤ 25	≤ 25
ნიტრიტები (მგ/ლ NO <sub>2</sub> )	მგ/ლ	≤ 0,01	≤ 0,03
გახსნილი Cu წყლის ნაგულისხმევი სიხისტით 100 მგ/ლ CaCO <sub>3</sub>	მგ/ლ	≤ 0,04	≤ 0,04

პარამეტრი	ერთეული	EQS ორგანული შემცველი წყალი	EQS კობრის შემცველი წყალი
Zn მგ/ლ (წყლის ნაგულისხმევი სიხისტით 100 მგ/ლ CaCO <sub>3</sub> )	მგ/ლ	≤ 0,3	≤ 1,0
გახსნილის ჟანგბადი (მგ/ლO <sub>2</sub> )	მგ/ლ	დროის 50 % ≥ 9, დროის 100 % ≥ 7	დროის 50 % ≥ 8, დროის 100 % ≥ 5
სულ იონიზირებული ამონიუმი მგ/ლ NH <sub>3</sub>	მგ/ლ	≤ 0,005	≤ 0,005
სულ ამონიუმი (მგ/ლ NH <sub>4</sub> )	მგ/ლ	≤ 0.04	≤ 0.2
სულ ნარჩენი ქლორინი (მგ/ლ HOCl)	მგ/ლ	≤ 0,005	≤ 0,005
<p>*შესაძლებელია ამ სტანდარტების შემცირება, თუ, მაგ. გამონაკლისი ამინდის ან ბუნებრივი გამდიდრების არსებობის შემთხვევაში.</p> <p>სახელმძღვანელო: ევროკავშირის მტკნარი წყლის თევზის დირექტივა (2006/44/EC) ორგანული შემცველი წყლები – წყლები, რომლებშიც ბინადრობს ან მომავალში შეიძლება დასახლდეს თევზის ისეთი სახეობები, როგორცაა: ორგანული, კალმახი, ხარიუსი ან თეთრი თევზი. კობრის შემცველი წყლები – წყლები, რომლებშიც ბინადრობს ან მომავალში შეიძლება დასახლდეს კობრის სახეობები ან სხვა სახეობები, როგორცაა: ქარიყლაპია, ქორჭილა და გველთევზა. სტანდარტები გამოყენებული იქნება მათი მოქმედების სფეროს შესაბამისად (რაც დამოკიდებულია ზედაპირულ წყალსატევში არსებული სახეობებით)</p>			
<p>შენიშვნა: სადაც იდენტიფიცირებულია, რომ წყლის არსებული ხარისხის დონეები აჭარბებს ზემოთ მოცემულ სტანდარტებს პროექტის დაწყებამდე (შეიძლება გამოწვეული იყოს არასაპროექტო ემისიების წყაროებით), მაშინ პროექტმა შეიძლება ვერ დააკმაყოფილოს ეს სტანდარტები იმ გარემოებების გამო, რომლებიც სცდება პროექტის კონტროლის კომპეტენციას. ამ შემთხვევაში პროექტი გაითვალისწინებს წყლის ხარისხის არსებულ დონეებს და არასაპროექტო ფაქტორებს, რომლებიც ზემოქმედებას ახდენს წყლის ხარისხზე, და გაატარებს გონივრულად განხორციელებად ზომებს პროექტის წვლილის შესამცირებლად წყლის ემისიებში. მიუხედავად ამისა, პროექტმა უნდა დააკმაყოფილოს ჩაშვების ზემოთ მოყვანილი სტანდარტები, რომლებიც მოცემულია ცხრილებში 1.4 და 1.5</p>			

## 6 პროექტის გაწმენდის სამუშაოების კრიტერიუმები

პროექტის ფარგლებში გამოყენებული იქნება დაბინძურებული მიწის მართვის რისკების შეფასების მიდგომა ნიადაგის, ზედაპირული ან მიწისქვეშა წყლების დაბინძურების პოტენციური ზემოქმედების დასადგენად ადგილობრივ რეცეპტორებზე. ეს შეფასება უნდა შეესაბამებოდეს გაერთიანებული სამეფოს გარემოს დაცვის სააგენტოს მიდგომას, რომელიც განსაზღვრულია შემდეგით:

- დაბინძურებული მიწის მართვის სანიმუშო პროცედურები (CR11) (DEFRA და გარემოსდაცვითი სააგენტო, 2004)
- გამოსწორების სამიზნეების მეთოდოლოგია: მიწის დაბინძურების ჰიდროგეოლოგიური რისკის შეფასება (გარემოსდაცვითი სააგენტო, 2006).

ზემოთქმული ეფუძნება წყარო-გავრცელების გზა-რეცეპტორის პრინციპს, რომლის მეშვეობითაც უნდა დადგინდეს კავშირი დამაბინძურებლებსა და რეცეპტორებს შორის და სავარაუდოდ, ზემოქმედება ჯანმრთელობაზე განხორციელდება თუ გარემოზე. ეს მიდგომა არ ადგენს გაწმენდის კონკრეტულ სტანდარტებს, ვინაიდან ეს უკანასკნელი დამოკიდებულია მიწის/წყლის სარგებლობასა და პოტენციური რეცეპტორებისკენ მიმავალი მარშრუტის არსებობაზე.

წინამდებარე მეთოდი იყენებს რისკის შეფასების ეტაპობრივ მიდგომას, სადაც შემდგომი დეტალური ანალიზის საჭიროება განისაზღვრება პირველ ეტაპზე. რისკის შეფასების მომდევნო ფაზების დროს მონაცემების მიმართ მოთხოვნები და ანალიზის სრულყოფილების დონე იზრდება, და შესაბამისად იზრდება ზემოქმედების პროგნოზის სანდოობა.

თუ რისკების შეფასების შედეგად დადგინდა, რომ არსებობს რისკი ჯანმრთელობის ან გარემოსთვის, შემუშავდება შერბილების გეგმა. გეგმა შეიძლება მოიცავდეს შერბილების სამიზნეების განსაზღვრას, რაც შეიძლება დაეფუძნოს სხვადასხვა წყაროდან მიღებულ ინფორმაციას, მათ შორის – ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის სახელმძღვანელო მითითებებს, ევროკავშირის ან გაერთიანებული სამეფოს სტანდარტებსა და სახელმძღვანელო მითითებებს ან სხვა ეროვნულ სტანდარტებსა და სახელმძღვანელოებს საჭიროებისამებრ.